ბრძანება:**ბ28. 28230167**
თარიღი:**16/01/2023**

თერჯოლის მუნციპალიტეტის ტერიტორიაზე 2023 წლის 09-14 იანვარს ძლიერი ქარის შედეგად დაზიანებული საბავშვო ბაღების, მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული შენობების, კერძო მოსახლეობის საცხოვრებელი სახლებისა და საერთო საცხოვრებლების რეაბილიტაციისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვის მიზნით გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე გამარტივებული წესით შესყიდვის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ე,ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის ,,ა“ პუნქტის, საქართველოს კანონის ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ მე-10^1 მუხლის მე-3 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის და ,,გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმის განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტისა და მე-5 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად და თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლის გოდერძი თურქაძის 2023 წლის 16 იანვრის N03-282301678 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

მუხლი 1. თერჯოლის მუნციპალიტეტის ტერიტორიაზე 2023 წლის 09-14 იანვარს **ძლიერი ქარის შედეგად დაზიანებული საბავშვო ბაღების, მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული შენობების, კერძო მოსახლეობის საცხოვრებელი სახლებისა და საერთო საცხოვრებლების რეაბილიტაციისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის,** სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გადაუდებელი აუცილებლობით გამომდინარე შესყიდვა განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვის წესით;

მუხლი 2. გამარტივებული შესყიდვის განხორციელებამდე, აღნიშნული ბრძანება და შესაბამისი დოკუმენტაცია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს

თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N 13 ბრძანების მე-5 მუხლის პირველი, მეორე და მესამე პუნქტების თანახმად შესათანხმებლად გადაეგზავნოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს;

მუხლი 3. ბრძანება ჩაბარდეს შემდგომი რეაგირებისთვის თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის შესყიდვების განყოფილებას;

მუხლი 4. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე;

მუხლი 5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ. N7) კანონმდებლობით დადგენილი წესით;

მანუჩარ რობაქიძე

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია-მერის მოვალეობის შემსრულებელი (დროებით მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი